საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

შემოწმების აქტი №002330/შ

შედგენის თარიღი: 28.01. 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 02 ივლისს №002330 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002330/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები) [redacted] და [redacted] მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

დასახელება: სსიპ- ქალაქ თბილისის №24-ე საჯარო სკოლა;
დირექტორი: გიორგი კაკაბაძე;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202055462;
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბაქოს ქ. №1
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბაქოს ქ. №1

სსიპ- ქალაქ თბილისის №24-ე საჯარო სკოლის მიმართ, 2021 წლის 02 ივლისს გაიცა №002330 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002330/ო მითითება, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საწარმოს განესაზღვრა 30(ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

ინსპექტირების დროს სსიპ -ქალაქ თბილისის №24 სკოლის მიმართ გაიცა 3 მითითება.

პირველი მითითების თანახმად, სკოლის მიერ დარღვეული იყო შრომის კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი. კერძოდ, ინსპექტირების დროს, სსიპ - ქალაქ თბილისის №24-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში არ იყო ასახული დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიცა მითითება იმის თაობაზე, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №24-ე საჯარო სკოლას უნდა მიეღო ზომები დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები უნდა აესახა შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყო მათი შესრულება. ამასთან, **სამუშაო ადგილზე უნდა დაენერგა ქმედითი მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფდა როგორც დასაქმებულთა შორის, ისე დამსაქმებლისა და დასაქმებულ პირთა ურთიერთობისას გამოკვეთილი დისკრიმინაციური შინაარსის ქმედებების პრევენციას და აღმოფხვრას .

რეისნპექტირების შემდეგ, დამსაქმებელმა წარმოადგინა 2020 წლის შინაგანაწესი, რომლის 1[1] მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები ფორმულირებულია შემდეგნაირად „ დაუშვებელია დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხდების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე), დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში. დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით“. 2021 წლის 2 დეკემბერს სკოლის დირექტორმა წარმოადგინა განცხადება და მიუთითა, რომ დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის , მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავ დებულებებს და შესაბამისი მექანიზმი სკოლას არ შეუმუშავებია.

მე-2 მითითების თანახმად, სკოლის მიერ დარღვეული იყო შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი. კერძოდ, ინსპექტირების დროს დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი არ შეესაბამებოდა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, დარღვეული იყო დოკუმენტის მთლიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეთითა, რომ დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა ეწარმოებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. რეინსპექტირების დროს დამსაქმებელმა წარმოადგინა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმები, რომელიც არ არის

ნაწარმოები მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს [redacted] აღებული აქვთ დეკრეტული შვებულება. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის დღეების ჯამური ოდენობა მითითებულია მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების დანართი №2-ის მე-17 გრაფაში , ნაცვლად მე-14 გრაფისა. უქმე და დასვენების დღეების აღნიშვნა ასევე განსხვავდება ბრძანებით დადგენილი აღნიშვნისაგან. კერძოდ, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში უქმე და დასვენების დღეები არ არის აღნიშნული „X" სიმბოლოთი. რეინსპექტირების დროს წარმოდგენილი იქნა, სკოლის დირექტორის 2021 წლის 16 ივნისს გამოცემული №2-113-ე ბრძანება, რომელიც შეეხება სკოლაში სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოების წესს, აღნიშნული ბრძანებით არ დგინდება, რომ დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელი პირი იყო ოქტომბრის თვეში სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე, მაშინ როდესაც სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა ოქტომბრის თვეში ხელმოწერილია სკოლის დირექტორის მოადგილის მიერ. აგრეთვე, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არ არის ხელმოწერილი თავად სკოლის დირექტორის მიერაც.

მე-3 მითითების თანახმად, სკოლის მიერ დარღვეული იყო შრომის კოდექსის 27-მუხლის პირველი პუნქტი. კერძოდ, ინსპექტირების დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის დროს დადგინდა , რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №24-ე საჯარო სკოლასა და [redacted] რომითი ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რომელიც დასაქმებულის სამუშაო დროს არეგულირებდა , განსაზღვრავდა, რომ სრული დატვირთვა ნიშნავს 36 საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 18-19-20 საგაკვეთილო საათი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნაწილობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებელი კვირაში მუშაობდა 36 საათზე ნაკლებ სამუშაო საათს, რომელთა შორის საგაკვეთილო საათები 18 საათზე ნაკლებია. ხსენებული შრომითი ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევდა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულებას დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატებოდა კვირაში 40 საათს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა მითითება იმის თაობაზე, რომ დამსაქმებელს უნდა უზრუნველყო დასაქმებულის მიერ შესასრულებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს დროის ათვლა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ნორმირებული სამუშაო დროის მიღმა.

რეინსპექტირების შემდეგ, დამსაქმებელმა წარმოადგინა [redacted] 2021 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის 5.2 პუნქტის თანახმად,

„დასაქმებულის სამუშაო დრო განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების" და სკოლის ტარიფიკაციის შესაბამისად". დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმით და დასაქმებულთან სატელეფონო გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კვირაში მუშაობს 15 საგაკვეთილო საათს. მიუხედავად აღნიშნულისა, ნანი სალიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, „ ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში , რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს, კვირაში 40 საათს.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დამსაქმებლის და დასაქმებულების გასაუბრების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი** „დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება".	**მითითება არ შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** „დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს	**მითითება არ შესრულდა**

	შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ".	
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 27-ე მუხლის პირველი პუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაო არის მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა სამუშაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად – 4 საათს".	**მითითება არ შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: